საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N2

(საფუძველი: ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ივნისის N01-02/89 ბრძანება)

ქ. ბათუმი

10.07.2024 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **თამარ სირაძე** - რექტორის მოადგილე, თავმჯდომარე;
2. **მადონა მიქელაძე** - ბსუ- ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, წევრი;
3. **ამირან შარაძე** - ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსი, წევრი;
4. **ნათია ბურჭულაძე** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საბიბლიოთეკო საქმე" ხელმძღვანელი, წევრი;
5. **მამუკა გოგელია** - ბსუ- ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, მდივანი.

დღის წესრიგი:

1. 2024 წელს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საბიბლიოთეკო საქმე" (IV დონე) მოსაწვევი პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ივნისის N01-02/89 ბრძანებით გამოცხადებული პროფესიული განათლების მასწავლებლის შესარჩევი კონკურსის მონაწილებთან გასაუბრება კომისიის სხდომის 2024 წლის 09 ივლისის (ოქმი N 1) გადაწყვეტილების მიხედვით.

მოისმინეს:

1. საკონკურსო კომისიის მდივნის მამუკა გოგელიას ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მის მიერ სატელეფონო საშუალებით ინფორმირებული იყო კონკურსის ყველა მონაწილე და ისინი გამოცხადდნენ გასაუბრებაზე. სხდომას ესწრება კომისიის ყველა წევრი, შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია გასაუბრება ჩაატაროს განრიგის მიხედვით.

2. კომისიის მიერ კონკურსანტებთან გასაუბრების შემდეგ, კომისიის წევრებმა გამოთქვეს აზრი:

მადონა მიქელაძემ აღნიშნა, რომ მისასალმებელია ზოგიერთი კონკურსანტის მიერ გამოვლენილი მაღალი აკადემიური დონე და სურვილი ჩაერთონ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საბიბლიოთეკო საქმე (მე-4 დონე)" განხორციელების პროცესში. მან ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კონკურსანტების უმრავლესობა ბსუ-ს კურსდამთავრებულია (როგორც უმაღლესი, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების).

ნათია ბურჭულაძემ აღნიშნა, რომ ახალგაზრდა სპეციალისტების მიღება პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას.

თამარ სირაძემ აღნიშნა, რომ კონკურსანტების ნაწილს გააჩნია როგორც შესაბამისი თეორიული ცოდნა, ასევე აქვთ სწავლების პრაქტიკული გამოცდილებაც, მათ შორის, პროფესიულ

პროგრამებზე. ამიტომ ისინი იმსახურებენ მაღალ შეფასებას. ნაწილს აქვს თეორიული ცოდნა, მაგრამ არ აქვს სწავლების გამოცდილება, თუმცა მოტივაცია მაღალია და გამოთქვამენ პედაგოგიურ უნარებში გადამზადების მზაობას. ეს კონკურსანტები თ. სირაძის აზრით უნდა შეფასდნენ „საშუალო" შეფასებით და მათაც მიეცეთ შესაძლებლობა პროფესიულ სფეროში მოღვაწეობის. თუმცა არის კონკურსანტი, რომელმაც მოდულის წასაკითხად საჭირო თეორიული ცოდნაც ვერ გამოამჟღავნა, რაც საფუძველია იმისა, რომ ეს კონკურსანტი შეფასდეს დაბალი ქულით.

კომისიის წევრებმა ერთხმად გაიზიარეს თ. სირაძის პოზიცია.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა კონკურსანტების შერჩევის საკითხი.

საკონკურსო კომისიის წევრებმა ღია კენჭისყრით ერთხმად დაადგინეს:

1. მიეცეს შეფასება ,,მაღალი" კონკურსის მონაწილეს თამილა ქარცივაძეს;
   მიეცეს შეფასება ,,საშუალო" კონკურსის შემდეგ მონაწილეს - ნათია დევაძე;
   მიეცეს შეფასება ,,დაბალი" კონკურსის შემდეგ მონაწილეს - თინიკო ძირკვაძე.

2. ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საბიბლიოთეკო საქმე" (IV დონე) მოსაწვევი პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ივნისის N01-02/89 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის მონაწილე პირებიდან გამარჯვებულად გამოცხადდეს **თამილა ქარცივაძე და ნათია დევაძე.**

3. საკონკურსო კომისიის მიერ რეკომენდაცია გაეწიოს კონკურსანტ **თინიკო ძირკვაძეს** ბსუ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საბიბლიოთეკო საქმე (მე-4 დონე)" პროფესიული მასწავლებლის საჭიროების შემთხვევაში განიხილოს მისი დასაქმების შესაძლებლობა.

3. **საკონკურსო შედეგები საჯაროდ გამოცხადდეს** ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის და ცენტრის საინფორმაციო დაფის მეშვეობით (უზრუნველყოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა) არაუგვიანეს 2024 წლის 12 ივლისისა.

კომისიის წევრები:

საკონკურსო კომიის თავმჯდომარე, რექტორის მოადგილე,
პროფესორი **თამარ სირაძე**

ბსუ- ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების
ცენტრის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი, წევრი **მადონა მიქელაძე**

ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსი, წევრი **ამირან შარაძე**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საბიბლიოთეკო საქმე"
ხელმძღვანელი, წევრი **ნათია ბურჭულაძე**

ბსუ- ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების
ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, სხდომის მდივანი **მამუკა გოგელია**